მონაცემთა გაცვლის სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის საგენტო

E-GOVERNMENT.GE
საინფორმაციო ფურცელი

აგვისტო, 2011 წელი, გამოშვება #7

საქართველოში ელექტრონული ID ბარათების გაცემა დაიწყო

2011 წლის 1 აგვისტოდან საქართველოში ახალი თაობის პირადობის მოწმობის ID ბარათების გაცემა დაიწყო.

პირველ ხუთ მფლობელს, რომელთაც ყველაზე ადრე შემოიტანეს განაცხადი, ელექტრონული პირადობის მოწმობები საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** საზეიმოდ გადასცა.

პირველ ეტაპზე ბარათების მიღების მსურველთა განაცხადებს ბათუმში, თბილისსა და რუსთავში იბარებენ, ხოლო სექტემბრიდან ბარათების გაცემა მთელი საქართველოს მასშტაბით მოხდება.

აღსანიშნავია, რომ ID ბარათი მაღალტექნოლოგიური, გაყალბებისგან მაქსიმალურად დაცული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტია. ამ საბუთით შესაძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია დისტანციურად, ინტერნეტის საშუალებით. გარდა ამისა, ID ბარათი ელექტრონული დოკუმენტების ციფრულად ხელმოწერის საშუალებას იძლევა და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ასეთ დოკუმენტებს იურიდიული ძალა აქვს.

ID ბარათის შემოღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომსახურების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებას და შესაბამისად სახელმწიფო თუ კერძო სექტორის სერვისების მომხმარებლების კმაყოფილების გაზრდას. ასევე გააუმჯობესებს ბიზნესის კეთების ეფექტურობას, ხელს შეუწყობს საქართველოში ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას.

ახალი თაობის პირადობის მოწმობის - ID ბარათის საშუალებით იხსნება ტერიტორიული შეზღუდვა. დაინტერესებულ პირს მისამართის გადამოწმება იუსტიციის სახლის ვებ-გვერდზე - www.house.gov.ge - შეეძლება, სადაც მოქმედებს სპეციალური ველი, რომელშიც მომხმარებელმა უნდა მიუთითოს ბარათის სერიული ნომერი, რის შემდეგაც მოქალაქის მისამართი ეკრანზე მყისიერად გამოჩნდება.

გარდა ამისა, ბარათის მიღებისთანავე მოქალაქეს რეგისტრაციის ადგილის შეცვლა დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში შეეძლება. ახალი ელექტრონული პირადობის მოწმობის აღება არ არის სავალდებულო. ძველი მოწმობები ვადის გასვლამდე ძალაში რჩება, თუმცა ახალი დოკუმენტების აღების შემთხვევაში მოქალაქე მიიღებს ID ბარათს.

გამოშვებაში წაიკითხავთ

ელექტრონული ID ბარათების გაცემა დაიწყო 1
CERT.GOV.GE CERT-ების ევროპული გაერთიანების წევრი გახდა 2
სემინარი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა და ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ 2
შეხვედრა ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე 3
მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტები შეიმუშავა 3
GITI 2011-სთვის სამზადისი იწყება 3
რეგიონალური სამუშაო შეხვედრა თემაზე: მომავლის სერვისი საჯარო სექტორში - კორუფციასთან ბრძოლა, პროცედურების გამარტივება 4
საჯარო რეესტრისა და გაზეთ 24 საათის ერთობლივი პროექტი 4

www.justice.gov.ge
www.house.gov.ge
www.cra.gov.ge
www.napr.gov.ge
www.nbe.gov.ge
www.matsne.gov.ge
www.e-government.ge
www.tbilisi.gov.ge
www.rs.ge
www.mof.ge

CERT.GOV.GE CERT-ების ევროპული გაერთიანების „TRUSTED INTRODUCER“ წევრი გახდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი (CERT.gov.ge) მიმდინარე წლის აგვისტოში CERT-ების ევროპული გაერთიანების „Trusted Introducer“-ის წევრი გახდა.

ამიერიდან Trusted Introducer-ის ვებ-გვერდზე https://www.trusted-introducer.org/index.html CERT.gov.ge ოფიციალურად რეგისტრირებულია ევროპული CERT-ების სიაში, რაც მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის საერთაშორისო არენაზე აღიარების პირველ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

„მოხარულნი ვართ, რომ ისეთმა მნიშვნელოვანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, როგორიცაა Trusted Introducer, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის (CERT.gov.ge) საკუთარ რიგებში გაწევრიანების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. CERT.gov.ge სულ რამდენიმე თვეა, რაც ოფიციალურად ამოქმედდა და ჩვენ უკვე გვაქვს პირველი მნიშვნელოვანი წარმატება საერთაშიროსიო არენაზე. ეს ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან აქტიური და წარმატებული თანამშრომლობის შედეგია. Trusted Introducer-ის წევრობა CERT.gov.ge-ს საშუალებას მისცემს კიბერ უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობა დაამყაროს ევროპული ქვეყნების ანალოგიურ უწყებებთან, ხოლო, თავის მხრივ, უცხოური CERT-ებისთვის საქართველოს კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფი გახდება საკონტაქტო უწყება სხვადასხვა სახის კიბერ ინციდენტების აღმოჩენის, მათი ანალიზისა და პრევენციისათვის ერთობლივი ღონისძიებების გასატარებლად.“ - **ირაკლი გვენეტაძე,** მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

CERT.gov.ge მომავალში გეგმავს Trusted Introducer-ის გაწევრიანების პარალელურად გახდეს აღნიშნული ორგანიზაციის აკრედიტირებული და სერტიფიცირებული წევრიც.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზებით სემინარი გაიმართა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში შემავალი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ორგანიზებით სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“ ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა და ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შეახებ სემინარი ჩატარდა.

სემინარის მონაწილეებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ საჯარო სექტორში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და შემდგომი განვითარების ეტაპზე სახელმწიფო ორგანოთა ჩართულობის, ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინაციის საკითხებთან დაკავშირებულ ამოცანებსა და პერსპექტივებს. ასევე გაკეთდა პრეზენტაცია ,,ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისი იმპლემენტაციისათვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებების შესახებ.

სემინარი საქართველოს იუსტიციის მინისტის მოადგილემ, **გიორგი ვაშაძემ** გახსნა. სემინარს ესწრებოდნენ სამინისტროების, სააგენტოებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები.

„დღევანდელი სემინარის მიზანია გავაცნოთ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს ის მნიშვნელოვანი სიახლეები, რომლებიც უკავშირდება საჯარო სექტორში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების კოორდინაციას. ასევე მნიშვნელოვანი იყო ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ დეტალური პრეზენტაციების წარდგენა. ასეთი შეხვედრები საშუალებას გვაძლევს ვესაუბროთ ჩვენს კოლეგებს ამ მეტად მნიშვნელოვან სიახლეებთან დაკავშირებით, მივაწოდოთ მეტი ინფორმაცია მათი დანიშნულების, უპირატესობების შესახებ.“ - **გიორგი ვაშაძე**, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე - სამოქალაქო რეესტრის თავმჯდომარე.

შეხვედრა ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებზე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს NATO Liaison Office in Georgia-ს მიერ მოწყობილ ღონისძიებაში, რომლის მთავარ თემას წარმოადგენდა ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები.

აღნიშნულ ღონისძიებას უძღვებოდნენ ნატოს სამდივნოს, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან კიბერ უსაფრთხოების კუთხით მომუშავე ექსპერტები. სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეების მხრიდან ყურადრება იქნა გამახვილებული კიბერ უსაფრთხოების მიმართულების საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობაზე და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ნატოს როლზე ამ მიმართულებით. ასევე განხილული იქნა ენერგეტიკის სექტორის, როგორც კრიტიკული ინფრასტრუქტურის წინაშე არსებული კიბერ გამოწვევები, კიბერ ტერორიზმთან ბრძოლის საშუალებები.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ, **ირაკლი გვენეტაძემ** აუდიენციას გააცნო მონაცემთა გაცვლის სააგენტოს არსებული და დაგეგმილი ღონისძიებები ქვეყანაში კიბერ უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ, ხოლო სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა, **ირაკლი ლომიძემ** პრეზენტაცია გააკეთა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს განხორციელებულ კიბერ შეტევებზე.

მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტები შეიმუშავა

მონაცემთ გაცვლის სააგენტომ ინფორმაციული უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების სტანდარტი ჩამოაყალიბა. სტანდარტი განკუთვნილია სხვადასხვა მასშტაბისა და შესაძლებლობების ორგანიზაციისათვის. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.

სტანდარტით განსაზღვრულია საბაზისო მოთხოვნები ინფორმაციაზე წვდომის, მართვის, დამუშავებისა და გამოყენების მიმართულებით. სტანდარტის შესრულებით ან მის მოთხოვნებთან მიახლოებით ორგანიზაციები შეძლებენ განსაზღვრონ არსებული სიტუაცია და შემდგომ მნიშვნელოვნად აამაღლონ ინფორმაციული უსაფრთხოების დონე. ასევე უზრუნველყონ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, ინტეგრირებულობა და საჭიროებისამებრ დროული ხელმისაწვდომობა.

მოთხოვნები ეფუძნება მსოფლიოში გავრცელებულ და აღიარებულ საერთაშორისო (ISO) სტანდარტებს. სტანდარტის შექმნის პროცესში გათვალისწინებულ იქნა ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა.

„ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარეტები, რომელიც მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ISO სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით შეიმუშავა, კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია იმისთვის, რომ ქვეყანაში ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები საერთო სტანდარტების მიხედვით დარეგულირდეს. ეს სიახლე ასევე მნიშვნელოვანია როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში მოქმედი ორგანიზაციებისა და კომპანიებისთვის, რომლებიც კოორდინირებულად იმოქმედებენ ინფორმაციულ უსაფრთოებასთან დაკავშირებული სხვადახვა სახის საკითხების გადაწყვეტისას.“ - **ირაკლი ლომიძე**, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

GITI 2011-სთვის სამზადისი იწყება

2011 წლის 17-19 ნოემბერს ICT ბიზნეს საბჭო და იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი სსიპ. მონაცემთა გაცვლის სააგენტო გამართავს ტრადიციულ, რიგით მე-4 რეგიონალურ კონფერენციას (დაჯილდოებას, გამოფენას) თემაზე - ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და კიბერ უსაფრთხოება GITI 2010.

ღონისძიებას, რომელიც 2008 წლიდან იმართება, არსებობის წარმატებული ისტორია აქვს. მისი წარმომადგენლობითობა და პოპულარობა წლიდან წლამდე იზრდება. წლევანდელი ღონისძიება წინამორბედებთან შედარებით კიდევ უფრო დიდი მასშტაბის იქნება.

GITI-ის შესახებ: ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბიზნეს საბჭო და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო ყოველწლიურად მართავს ღონისძიებას/დაჯილდოების ცერემონიალს საინფორმაციო ტექნოლოგიებში მომუშავე როგორც საქართველოს, ისე კავკასიის რეგიონის ქვეყნების მთავრობებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის. ღონისძიების მიზანია გაამყაროს პარტნიორობა ინოვაციებისა და კონკურენტუნარიანობისთვის სამთავრობო და კერძო სექტორს შორის ეფექტური თანამშრომლობის გზით.

საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა თემაზე: მომავლის სერვისი საჯარო სექტორში - კორუფციასთან ბრძოლა, პროცედურების გამარტივება

2011 წლის 22-24 სექტემბერს, ბათუმში გაიმართება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ევროკომისიის მიერ ორგანიზებული რეგიონალური სამუშაო შეხვედრა. ღონისძიების მიზანია თავი მოუყაროს სხვადასხვა სფეროში მომუშავე პროფესიონალებს, რათა მოხდეს მათთვის საქართველოს გამოცდილების გაზიარება კორუფციასთან ბძოლისა და საჯარო ინსტიტუციების რეფორმებთან დაკავშირებით. სამუშაო შეხვედრის მთავარი თემა კი იმ ეფექტური მეთოდების განხილვა იქნება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა მარტივი და ეფექტური მომსახურების დანერგვა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში.

სამუშაო შეხვედრის ფარგლებში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები დეტალურად ისაუბრენენ იმ გატარებული ღონისძიებების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა კორუფციასთან ბრძოლის საქმეში წარმატების მიღწევა. ასევე ყურადღება გამახვილდება მოქალაქეებისთვის ახლებური ტიპის მომსახურებებების შეთავაზებაზეც, რომლებსაც მოქალაქეები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებაში იღებენ. სამუშაო შეხვედრის მონაწილეები უშუალოდ მოისმენენ რეფორმების ავტორებისგან მათ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ - თუ რა გამოწვევები არსებობდა და რა წარნმატებები იქნა მიღწეული სხვადასხვა სახელისუფლებო ინსტიტუტების რეფორმირების პროცესში. სამუშაო შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების როლსა და მნიშვნელობას მოქალაქეებისთვის სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა მომსახურებების ეფექტურად შეთავაზების უზრუნველსაყოფად.

საჯარო რეესტრისა და გაზეთ 24 საათის ერთობლივი პროექტი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და გაზეთი 24 საათი მოსახლეობას ახალ მომსახურებას სთავაზობს. ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც დაინტერესებულია უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკითხებით, როგორიცაა ბინის ან მიწის ნაკვეთის გაყიდვა, გაქირავება ან დაგირავება, შეუძლია უფასოდ გამოაქვეყნოს განცხადება გაზეთ 24 საათში და საჯარო რეესტრის ვებ გვერდზე. მომსახურებით სარგებლობისთვის დაინტერესებულ პირს რამდენიმე საშალება აქვს: დარეკოს ცხელი ხაზის ნომერზე - 29 111 29 და ოპერატორის მეშვეობით დაარეგისტრიროს განცხადება; საჯარო რეესტრის მომსახურების ოფისებში შეავსოს სპეციალური განაცხადის ფორმა; უახლოეს მომავალში კი საჯარო რეესტრის მიერ შემუშავებული სპეციალური ვებ გვერდების მეშვეობით ონლაინ რეჟიმში განათავსოს მისთვის საინტერესო განცხადება.

გარდა განაცხადის დარეგისტრირებისა, ახლო მომავალში მომხმარებელი სპეციალური ვებ გვერდების მეშვეობით ონლაინ რეჟიმში შეძლებს მისთვის საინტერესო უძრავი ქონების შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღებას. მაგალითად, ადევს თუ არა ყადაღა ან აკრძალვა ქონებას, დატვირთულია თუ არა ქონება იპოთეკით, ირიცხება თუ არა კომნუნალური დავალიანება კონკრეტულ მისამართზე და სხვა ბევრი სასარგებლი ინფორმაცია.

ახალი მომსახურება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ამარტივებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პროცედურების გავლას, იცავს დაინტერესებულ მხარეებს დამატებითი პრობლემებისგან და ზრდის სანდოობის ხარისხს.

იხილეთ ჩვენი საიტიები

WWW.DEA.GOV.GE

WWW.E-GOVERNMENT.GE

მონაცემთა გაცვლის სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის 2

თბილისი 0102, საქართველო

ტელ.: (+995 32) 291 51 40

ელ. ფოსტა: info@dea.gov.ge

www.dea.gov.ge

www.e-government.ge

თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ "**Subscribe**" ან დაარეგისტრირეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ "**Unsubscribe**".